ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:№48. 482503125

თარიღი:31/01/2025

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2024-2026 წ.წ სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 29 იანვრის N48.482402923 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" პუნქტის, ამავე კოდექსის 140-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" 21-ე მუხლის მე-8 პუნქტის და 2025 წლის 31 იანვრის 07-4825031130 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2024-2026 წ.წ სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 29 იანვრის N48.482402923 ბრძანებაში და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2024-2026 წ.წ სტრატეგიული გეგმა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართი N1-ის შესაბამისად.
2. აღნიშნული გეგმის შესრულების კონტროლი დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს - მაკა თედორაძეს.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. N11)

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი-მერი

ქ. ქუთაისი, ...ალიტეტის მერია N2 • CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY N2 • 221274546

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი